

განცხადება

განცხადება

მელიამინოვის ქუჩაზე, პრეტე ჩიგეშტოვის სახ-
ლებში.
ხელის-მოწერა
რედქციაში და სტ. მელიამინოვის სტამბაში.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ
редакцію газеты „*Дრობა*“.
გაზეთის ღირებულება
წელიწადში 8 მან., ნახევარ წელიწადში —
4 მან. და 50 კაპ.; თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შუბრი.

დროება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა
ცხოველს ენებზე.
განცხადების ღირებულება
ღირს ასობით, ასობე — 1 კაპ., ასო-მთავრულით
სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ.
და პეტიტით — 4 კაპ.
თუ საქროება მოითხოვს, რედქცია გაასწორებს
და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებს.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

„დროებას“ № 41 25 აპ., კვირ-
რას არ გამოცხადდა სხვა და სხვა
მიზეზების გამო.

საქართველო

დღიური

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ქუთაისის
ბანკის მმართველად ამოურჩევიან უ-
ბ. ლ. ლაღობერიძე და დირექტო-
რებათ თ. ნ. ბ. ლაღიანი და თ. ლა-
გითი მარსთაი.

სამწუხაროა, რომ უფრო დაწერი-
ლებითი ამბებს არ გვატყობინებენ.

პასუხი
ივრის ხეობას

როგორც გუბერნიის სასამართ-
ლომ გაცნობა - მას აქეთ, რაც ვგ

დახეთის გზა იჯარით ჰქონია მიცე-
მული უ. მირზუაშვილს ორი წელი-
წადია და ვადა შეუსრულდება მერ-
მის (გაისს) წელს. ეგეც რომ აგრე
არ იყოს, მაინც არავითარ შემთხვე-
ვაში არ აქვს არაფერი გამუშაოს თქვენ,
რა დროსაც უნდა იყოს, - და ქირა არ
მოგცენ; თვით ხაზინა აძლევს მუშას
ქირას და კერძო პირი ვინ არის?

თქვენ შეგიძლიათ ამაზე კანონი-
სამებრ მიმართოთ მას ვისაც შეეხება
ეგ საქმე

თფილისის საოპერო ტეატრის საქ-
მე, როგორც იქნა, გარდაწყდა: უნდა
აშენდეს იმ ალაზე, რომელიც ამჟა-
მად უტყვია ალექსანდროვის ბაღის
ზემო ნაწილს ბერენშტამის წიგნების
მალაზიამდის.

22 აპრილს მთა-წმინდის უბანში,

500, მოსახლეზედ მეტი ახალციხი-
დან გარდასულან. მრავალთ ისევე
ახსოვსთ თავიანთ მოღმდის წოდება
და ბერნიც დღესაც ვნათესავეებიან
ახალციხელებსა.

ჩვენს მამა-პაპს დიდი ქერი და
შეწუხება მიუღია სარწმუნოების და-
ცვისათვის, ოსმალებისაგან, მაგრამ ამ
შემთხვევაში დეთის მადლით უფროდა
უფრო განძლიერებულან და დაუ-
მარცხებიათ თავიანთ მტერები სიმტ-
კიცითა, როგორც აწყერს, ბოკიას,
ხერთვისს, ოცხეს, შდეს, დიდერს
და ახალციხეს! გარდა ამისა არც პა-
ტრიოტული წარმატება მოუშლიათ.

სულემიან ფაშის დროს გაუგზავ-
ნიათ თავიანთ ხარჯით ერთი გულ-
კეთილი სახელოვანი ლეკი ძონსტან-
ტინეპოლს ხვანთქართან და სულე-
მიანის მაგიერ ფაშობის ფარმანი აუ-
ღებინებიათ, (რომ საქართველოს
აოხრების საშუალება მოეცემათ ლე-
კებისთვის მეფე ირაკლის დროს). რა
მომზადდება ეს ახალი ლეკის ფაშა
წამოსასელოდ ახალციხეს, ვიცდა
ლეთის მტერი შეატყობის ხვანთქარს
იმ ლეკის ფაშის ქრისტიანებთან გა-
წყობას; უთუოდ ახალციხეს მეფე
ირაკლის გარდასცემს; ამის გამო
მხოლოდ აბასტუმნის მახრა მიუცია
საბჭემოდ და უთანადებოდ კი დაუ-
ტოვებია. ამისი ნასახლევი ჯერაც
არის აბასტუმნის სოფელში და ო-
ცხის ყელში („ლეკის ბაღი“). ამ კე-
თილ საქმის მოთავენი ყოფილან: ია-
ნული შვილი, მთერაშვილი, მაქან-
დრეშვილი, ისარლოები და მეფისა
შვილები. — მე მოგახსენეთ ჩვენი
ხალხის დაუდერაგობა:

ნაგორნის ქუჩაში უნახავთ ვიღაც
რუსის ქალი ხეზე ჩამოკიდებული.

ჩვენ რომ აღდგომის ღამეს 7 სათ-
ზე, შ. მ. ხარებაეას სახლიდან გაუ-
პარავთ სხვა და სხვა ნივთები, ღი-
რებულნი 108 მანეთამდის. შ. ხარე-
ბაეას ამაზე განცხადება შეუტანია
პოლიციაში, მაგრამ ჯერ კიდევ არას-
ფერი ისმის ამის თაობაზე.

ამდღეებში უ. ბ. შიფანი გასაოც-
რათ დაუტყვილებიათ კინტოებს:
ორასი თუმნის ხურდის მაგიერათ სუ-
ლუმბრლო ქალაქები მიუციათ!

შეცდომანი „დროების“ № 39 თ.
ი. შავჭავჭავაძის სტატიაში. მეტი არის
გაზეთის მეორე გვერდზე, პირველ

პი იმდღესაც ვწერა „დროების მე-17
ნომერში ერთის ჩვენებურის კორრეს-
პონდენციაში, რომელიც ამტყუნებდა
უარაპატიანის მოთხოვნისაგან. რა
სირცხვილია? ყველა კაცი ცდილობს
თავის გვარის განათლებასა, და ისიც,
თავის გვართან ერთად, ჩვენს წარმა-
ტებასა; ამიტომ, რომ, იმას მამა თუ
სამეხი ჰყავს, დედა მისი ბავრელის
მესხის ქალია. მისი დაუდერაგობაც
დედა მისის ბრალია და არა მამისა!
... აბა რა სათქმელი იყო; ის
თუ მმართველად განწესდა, მგონია
ქართული ლაპარაკიც კი მოშალოს
ხალხში! ბანა ისე დაიჯანბნებიათ ეი-
სგანვე ახალციხელები, რომ ამისთანა
მოვლინებას გზა მისცენ? არას
ოღეს.

შ. ხარისჩაროვი ძონსტანტინე-
პოლში ქართულს ტიბიკონზედ მღე-
დლებს ამზადებს ჩვენთვისაო! ჩვენ-
თვის რომ არ იყოს, განა იქ უფრო
არა სჭირია? იქაც მრავალნი თანამ-
გრძნობელნი ჰყავს და კიდევაც ცდი-
ლობს ძველად აქეთგან გარდასულ
ხალხში ქართულის ენის გაცოცხ-
ლებასა. ჰო, ყველა, ყველა, მაგრამ
„ქართველ კათოლიკენი“ რაღამ ათქ-
მეინა? და, ეს კიდევ „დროებაში“
აღრევაც გამოითქვა რამდენმეჯერ
და იქნება გამოძიებულნიც ქართვე-
ლები ყოფილიყვნენ; მაგრამ ახალ-
ციხელებს მგონია უფრო მესხ-კა-
თოლიკეს წოდება ეკუთვნოდესთ
მოსახმარათ მთავრის მიხედვითა *).

*) მე, რასაკვირველია, სულ ერთია, მაგ-
რამ საქმე იმაში არის, რომ ქართველი რომელი
სარწმუნოებისაც უნდა იყოს, მაინც ქართვე-
ლია და არა სხვა. მესხები ამ შემთხვევაში

კალონას ქვედად მეორე სტრიქო-
ნიდამ დაწყებული, „ნუ თუ უ. ნი-
კოლაძე იტყვის“ და სხ. მესამე კო-
ლონის პირველ წერტილამდის. მეო-
რე კალონაზე, ქვედად მესამე-
სტრიქონში უნდა იყოს „განსხ-
ვავება და არა წინააღმდეგობა რაშია“
და არა „განსხვავება წინააღმდეგობა
რაშია“. მესამე გვერდზე, მეორე კო-
ლონაზე, ქვედად მეშვიდე სტრი-
ქონში სწერია: „ამ აზრით სჯის“ უნ-
და იყოს „ამ აზრით არის.“ მეოთხე
გვერდზე, პირველ კალონაზე, ზევი-
დამ მეექვსე სტრიქონში, უნდა იყოს
„ფურცლებს განაღდება“ და არა
„ფურცლებს განადიდება.“

„დროების“ კორრესპონდენცია
საჩხერადან 16 აპრილს


წელს ნაკივს. აქაურ აქაურ გლეხ-
კაცებს ცუდათ აქეთ შემჩნეული რომ

მსეც უნდა მოგახსენოთ: პაგკაისის
მხარეს ყოველ ტომებზედ წინად მეს-
ხეთმა მიიღო ქრისტიანობა ანდრია
მოციქულისაგან; დაშთამტკიცდენ იმა-
ვე სარწმუნოებაზედ შეურყეველად,
როგორც მოწმობს წმიდა მამა მი-
ორგი, მთაწმინდელი მთარგმნელი.
აწყვერში იყო სამთავარ-ეპისკოპო-
სო კათედრა. მისი ხელდებულნი იყე-
ნენ 12 ეპისკოპოსნი, 1 ქუმურდი-
სა, 2 იშნისა, 3 ანჩისა, 4 მტკე-
რისა, 5 შურწყაბისა, 6 წყაროსთავსა
7 მრუშეთისა, 8 ალაშქერტისა, 9 ა-
ნისა, 10 პარისა და შოღისა, 11 ბა-
ნისა და 12 ლაღისა. მაგრამ ახლა
სომხის ტიბიკონს შეეფარებიათ.

ჩვენ თვითონ მესხების შთამომა-
ვალნი ვართ, კათოლიკის სარწმუ-
ნობისა და სომხის ტიბიკონის მიმ-
ყოლნი.

მლონდ კი კარგნი დეთის მსახურ-
ნი, კაცთმოყვარე და მამულის სასარ-
გებლო პირნი იყვნეთ, თერგმ ტი-
ბიკონი არა დავიშლის და ბევრს
არც არას მოგვიმტებს. როდისაც შენ
სწავლული, კარგი მოსაქმური, გა-
მოსადეგი კაცი იქნები, გინდ ევრო-
პული ტანისამოსი ჩაიცვი გინდ ქარ-
თული და გინდ არაურდ, სულ ერთია;
სიპატიოსნე სულის ბრწყინვალეობა-
ზედ დაარსებულია და არა ტანისა-
მოსზედა. ეს თვით მაცხოვარმაც გვა-
სწავლა სახარებაში: „სული უმჯო-
ბეს არს უფროს საზრდელისა და
ხორცი უფროს სამოსელიისა.“

საღმარისადაც უფროს ინტერესს



ტანისამოსი თეთრი უნდა ეცვას.
მან რომ ეს მომიგო, მეც გასა-
ჯავრებლად ვკითხვი: განა გარდასა-
ხადი ცოტა აქეთ და ცოტას ირთ-
მეიან, რომ ვეცე არ წაუმატონ? —
შავისი კი რა მოგახსენო, მომიგო
და გაჩუმა.

მტყობობდა, რაღაც ფიქრში ჩავარ-
და და მეც თავი დავანებე.

თინ-და-თან მიუახლოვდით იმ სო-
ფელს, სადაც უნდა მიესულიყავით.
აღმაშფოთებდლმა ფიქრებმა ბოლოს
დამანებეს თავი და როგორც იქნა,
მივედით სახლში.

მისვლისათანავე მე მომეცა შემ-
თხვევა, რომლის მოწერით, ვგონებ
გაინტერესებ.

შოველს საზოგადოებაში, ყოველს
თითქმის სოფელში მოჰხდებიან ხოლ-
მე ისეთი პირები, რომელთ იმედი
გაჭირვების დღეს, თუ სუყველას არა,
უმეტეს ნაწილს საზოგადოებისას მა-
ინც აქვს. ამისთვის დაეკითხებიან
მათ ხოლმე გაჭირვების დღეს და
ისინიც, რაც შეუძლიანთ, ეწევიან
და ამით უფრო იმტკიცებენ საზო-
გადოების მხრით ნდობას და ყურად-
ღებას.

მართს ამისთანა პირთაგანთან შე-
შეკნა მეც მისვლა. ის იყო ჩემი ახლო-
ბელი ნათესავი. საღამოს რვა საათი,
იყო, როცა შემოვიდა ჩვენს სახლში
ერთი ღარიბად ჩაცმული გლეხი და
ძლიერ მძმედ დავიკრა თავი.

— აჰ, გამარჯვება, საბრალოე!
(ეს იყო სახელი იმ გლეხისა). — შთხ-
რა ჩემმა ნათესავმა. თითონ სახე
გლეხისა ამტკიცებდა, რომ იმას რა-
ღაც უსამართლობა აწუხებდა, რო-
მელზედაც ბევრი უშრომნია, მაგრამ
წარუმატებლად.

— როგორ მიღის შენი საქმე? —
ჰკითხა ჩემმა ნათესავმა.

— რაღა მიღის, ილაჯი აღარა
მაქვს, შენი ჭირიმი, ისრე გავტიალ-
დი ამ საქმით. წინეთაც მითქვამს და
ეხლაც ყოველივეს დალაგებით მო-
გახსენებთ, ოღონდ რამე მეშველე-
ბოდეს თვარა: წასრული წლის მკა-
თათვე იყო, როცა-საუბედუროდ —
ჩემის ძმისგან გაყრა მოვიწოდებე. ნე-
ტავე, თქვენის ბედნიერებით, ან მე
არ მომეხწია აქნამდის და ან ჩემს
ძმას და ან საქმე საქმეთ წამეყვანა
და მოერჩენილიყავით ამ ხათბალას.

მე ძლიერ გაკვირვებული ვიყავი
პირველად ამ კაცის ლაპარაკით, რომ
თავის საქმის დაწყებას უბედურება-
თაც სთელიდა და ჭირათაც, მაგრამ
დაეწყო კია; თუნდა შევეცე არ იყოს,
რა დიდი საქმე იყო, შავის გაყოფა
ძმისაგან, რომ ვერავის შეძლებდეს
ავერ ერთი წელი გადის; რა გაუზო-
მავი ადგილ-მამული უნდა ექნეს ამ
მართლა და საბრალოს მეთქი, ვფი-
ქრობდი ჩემს გულში; ბოლოს გუ-
ლმა არ მომიტია და ვკითხე:

ძმაო, ვინ გატანდა ძალას, თუ გა-
ყრა არ გინდოდა, — ხომ ხედავ ეგ სა-
ქმე არ გაძლევს ხეიოს.

— აი, ისევე ჰკითხავს და გარდა-
ახდევინებს ძრისტე ლმერთი იმ ჩვენს
მამასახლისს; ავეიტება, ბატონო, იმ
წყუულმა ხლაფორთი მე და ჩემს

უფროს ძმას: მოდიოდა ჩემთან და,
როგორც კეთილი კაცი, მირჩევდა,
რომ ძმას გაეყრადი, მეუბნებოდა:
შენ უფრო, შენი ძმა გლუბამს
შენო, შენზედ რას არ ლაპარაკობს
მთელს საზოგადოებაშიო, სად ხარ,
რატომ გძინავს და მტერს მამაცურად
არ ხედებო. მე გირჩევ, როგორც
შენი კეთილის მოსურნე, მალე მო-
შორდე მას და თავისუფლად შენ-
თვის იცხოვრო. მეც, შენი ჭირიმი,
ამის შემდეგ დავუკვირდი ჩემს ძმას
და შევეტყვი, რომ რაღაც მართლა
გულ-გრილად მიყურებდა. მაშინ კი
დავამტკიცე მამასახლისის ნათქვამი;
მაგრამ თურმე, ნუ ბრძანებთ და იმ
ჩემი ცოდვით საეცე მამასახლისს ჩე-
მი ძმისათვისაც იგივე არ უთქვამს
ჩემზე, რაც მე მითხრა მ'ზედ?! ამ
ნაირი ზღვა გაჭეთქა ჩვენ შორის
იმ იუღამ, შენი ჭირიმი; ისევე გას-
ქდება მისი აუშმებელი მუცელი.

— მერმე აქამდის მაგ საქმეს აკ-
ვდებით და ვერც გაიყარენით და
ვერც შერიგდით?

— აბა როგორ უნდა გავგეფთავე-
ბია საქმე? მამასახლისმა სულ იმის-
თვის შეგვაძლურა, რომ ამ შემთხვე-
ვით სარგებლობა ენახა. აბა თქვენც
მოგხსენდებათ. მე ღარიბი კაცი გა-
ხლავარ, ექვსი აბაზის მეტი ვეღარ
მივართვი; ჩემი ძმა კი ჩემზე შეძლე-
ბულია. მათ კი რა მისცა, არ ვიცი
მაგრამ ეს კი ვიცი, რომ მამასახლისი
თავისკენ გადბირა. მამასახლისმა გა-
გვიყო ადგილ-მამული და, მე რომ
მერგებოდა, იმის ნახევარიც არ შარ-
გო; მას აქეთ ვჩივი განუწყვეტელად
იმ ჩვენ ნაჩაღნიკთან, მაგრამ არა
გამოდის რა. ამ ბოლოს გავიგე,
რომ თურმე ჩვენ მამასახლისს და იმ
ჩვენს ღვდელს (ღვდელზე არ მით-
ქვამს, შენი ჭირიმი. ის არის მამასა-
ხლისის ამხანაგი ამ გვარ საქმეებში
და მოგებასაც და ზარალსა ერთად
იყოფენ. კურსოვნიკი გხლავსთ ჩვენ-
ნი ღვდელი) ნათესავებთ არ კი გა-
ხლამიანთ ნაჩაღნიკის სეკლატარი და
პერეგოჩიკი!! როგორც მივა საჩივარი
მამასახლისზე, ესენი საღდაც უგზო
უკვლად გააქარებენ. ჩემი თხოვნე-
ბიც ამგვართვე შორდებიან, ბატო-
ნო, სამართლის კარს.

ასე ამგვარად ეწვალდები, შენი
ჭირიმი; მართო ვენახი გამოვირანდა;
ერთი წელი გადის, არ გვიმუშავნია
შიგ არც მე და არც ჩემს ძმას, სი-
ნამ საქმე საქმედ წავედოდეს. — მხ-
ლა, შენი ჭირიმი, ბევრჯელ შევა-
წუხებთ, და კიდევაც გვედებო, გა-
ერთოთ ჩემს საქმეში და მომიხერხოთ
რამე: გამოგოთ, ეგების უკანასკნელს
ჩემს თხოვნაზე მოსულარამე, მაგენი
არას მაჩვენებენ, მოსრულიც რომ
იყოს. ამ ლაპარაკის დროს გლე-
ხი ხან მე შემამტკეროდა დაღრეჯი-
ლის სახით, რომელზედაც ინატებო-
და უმოჩინოდ თხოვნა შებრალებ-
ვისა და დახმარებისა — და ხან ჩემს
ნათესავს. ბოლოს თხოვნის ასრუ-
ლებას ჩემს ნათესავს ენებებოდა.

მე კიდევ დამჭირდა მეკითხა: „ეს
იყო პირველი მაგალითი, თუ ხშირად
ჰხდებოდა ამგვარი ამბები აქ?“ ძლი-

ხმა ღარწმუნებით მიამბო და მაგა-
ლითებიც ბევრი მოიყვანა, რომ ამის-
თანა ამბები ხშირათ ხდებო არა მარ-
ტო ჩვენს საზოგადოებაში, — სხვაგანა-
ცო ამ ახლო მახლოო, მამასახლი-
სების და მათი ხელ-ქვეითების წყა-
ლობითაო.

— თქვენ მაინც კარგი მამასახ-
ლისი გყოლიათ, — დავსტინე მე; თუ
გვიყვარდეთ, კიდევ ეგ ამოიჩიეთ, —
შემდეგისთვის უფრო გამოცდილი
იქნება.

— მაინც ისრე შეგექნა, ბატო-
ნო, თქვენი ბრძანებისა არ იყოს;
განა წრეულს კი არ გვინდოდა მა-
გის გამოცელო, რომ მეორეთ ამო-
ვიჩიეთ?! მაგრამ ვერ მოვახერხებთ,
ბატონო, ბატონმა ნაჩაღნიკმა გამო-
გვიცხადა: გსურთ კიდევ ამოიჩიოთ
ეს მამასახლისი, თუ სხვას ამოიჩიეთ-
თო, ან ვის ამოიჩიეთო? შევლა,
შენი ჭირიმი, ამას ფიქრობდა: ვაი,
რომ მე უთქვა, არ მსურს და მერმე
ისევე ღარჩისო, რაღა მეშველებო
და ყველას კი გესურდა მაგის გამო-
ცელო. აი მაგალითად, მე ბევრი ვი-
ყვირე, — როგორც გავგონილი მქონ-
და თქვენისთანა კაცებისაგან, რომ
ამოიჩივის დროს უნდა იქონიოთ
თვალ-ყური, რომ ისევე ის მამასახ-
ლისი, რომელიც წინეთაც უკანონოდ
იქცეოდა, არ ამოიჩიოთო, — ვიყვი-
რე — არ გვინდა მეთქი; საჩივარიც
განვაცხადე, როცა ბატონმა ნაჩაღნიკმა
გვითხრა ვის რა საჩივარი გაქეთ მა-
მასახლისზედა, — მაგრამ მე, ან ორი-
ოდე კიდევ ვინმე, რას გავაწყობდით.
ღვდა ისევე მამასახლისად; დამიბა-
რა მე და სულ ყბები დამამტერია
ცემით; საჩივარი მიწოდდა გამეცხა-
დებია, მაგრამ ორი მოწამეც ვერ ვი-
შოვე, თუმცა თითქმის მთელი საზო-
გადოება უყურებდა ამ საქმეს.

— მაშ, ჩემო ძმაო, თქვენ აღარა
გშველებიათ, თუ ვერც მამასახლისის
ამოიჩიეთ და ვერც თქვენ ჰაზრს
უეზდის ნაჩაღნიკს და უმფროსებს
ვერ შეატყობინებთ! მაგრამ იცი, ეს
რისი ბრალია? ეს იმის ბრალია, რომ
თქვენ, ჩემო ძმაო, ერთობა დაგიკარ-
გეთ და პირიც აღარ გქონიათ. თუ
იმას ეცდებით, რომ ერთობა იქო-
ნიოთ თქვენი საქმე უკეთ წავა.

ამაებზე ბევრი რამ მელაპარაკა ამ
გლეხმა და ბოლოს დაუმატა: „მად-
ლობა ღმერთსო; ყველასთვის სარ-
ხოდ ჩვენ მიუცივართ იმ დალოც-
ვილსო“ და წავიდა სახლში იმ იქე-
დით, რომ ჩვენ იმის საქმისას რას-
მეს გავიგებდით.

მეორე დღეს მე და ჩემი ნათესავი
წავედით სასოფლო კანცელარიაში
და მართლაც ენახეთ, რომ იმ გლე-
ხის თხოვნაზე უეზდის ნაჩაღნიკს
მოეწერა სოფლის მოსამართლეები-
სათვის (სულდა), რომ ამ გლეხის საქ-
მე გაეთავებით კანონიერად. მამასა-
ხლისს არც კი შეუტყობინებია მოსა-
მართლეებისათვის, — ისრე გარდაღწ-
ყვითა საქმე სიტყვით. ე. ი. მოუ-
წერია იმავე ქალღვრე, რომ ჩვენ-
სულიებმა გაეთავეთ ეს საქმე და სრუ-
ლიად დაეკმაყოფილეთ მომიჩინიო.
ეს რომ მოსამართლეებმა (სულდა)

გაიგეს, თავის მართლმად დაიწყეს; რომ
ჩვენ არც კი გვინახებენ ეს თხოვნით.

ამ გვარი შემთხვევები ბევრი ენა-
ხე (თუ შემთხვევა დაერქმევა) და თუ
ყურს დამიგდებთ ერთს იმათგანზე
კიდევ მოგახსენებთ ორს სიტყვაში:
ერთს სოფელში მამასახლისის და მო-
სამართლეების სხდომას დავესწარი,
სადაც ერთი გლეხის საქმე უნდა გაე-
სამართლებიათ. იქ სხვა გლეხებიც
იყვნენ. შეიქმნა მსჯელობა. მამასახ-
ლისი ძლიერ დაიწია ერთის მხრით,
სინამ მას წინ არ აღუდგა ერთი მო-
სამართლე, შეიქნა მათ შორის დავა
და თითქმის ჩხუბი. ამ დროს გლე-
ხებმა დაიწყეს ჩურჩული რაღასიც.
მართი ამბობდა: მამასახლისს თუმანი
აქვს მიღებული ერთის მხრიდანო
და მეორე პირიდან აქვს მიღებული
ქრთამი იმ წინააღმდეგს მოსამართ-
ლესაო და აბა რომელი აჯობებსო,
(რომ, თუ ოდესმე საქმე შექნა, მეც
იმას მივეცე ქრთამიო). საწყალ გლე-
ხებს ამ მექრთამე მამასახლისების წყა-
ლობით ისრე მიუჩიევიათ ყური ქრთა-
მისათვის, რომ არ იციან თუ უში-
სოდ საქმე გარდაწყდება. მე ვფიქ-
რობ, რომ ჯამაგირიც რომ დაუნიშ-
ნონ ამ გვარ მამასახლისებს, ძლიერ
გაუჭირდებოთ მათ ქრთამის აულებ-
ლობა, განსაკუთრებით მტყუანი მხა-
რედგან, რომელიც ძალით მიაჩიებს.

საქმემ იქნამდის მიაწია, რომ მო-
სამართლემ და მამასახლისმა ყმაწვი-
ლებივით დაუწყეს ერთმანეთს მხი-
ლება ქრთამის აღებაში და სხვა და
სხვა აეკაცობაში. ბოლოს მაინც მა-
მასახლისმა დასძლია და საქმე მის-
კენ გარდაწყდა.

როგორც ხედავთ, ჩემი ყურადღე-
ბა აქ ყოფაში მიიქცია მამასახლისებ-
მა და დასკვნაში შემიძლია ეს თქვა,
რომ პირველი ეკსპლუატატორები
სოფლებში არიან მამასახლისები.

საუბედუროდ ასში ერთი ძლივს
იბოება კეთილ-სინიღისიანი მამასახ-
ლისი რომელიც ჯიბის გასუქებაზე
არ მეცადინებდეს სხვებსავეთ. ამ-
ბობენ და მეც ვიტყვი, რომ კეთილ-
სინიღისიანი კაცის ამოიჩივის შემ-
დეგ; პირველი საშველგა ჯამაგირის
გაჩენაა მამასახლისისათვის. მაგრამ
ჯერ არსად უტდიათ. სოფლებები ამ
საქმის თანახმანი არიან, მაგრამ ეში-
ნიათ: ვაი თუ ჯამაგირიც გვახდევინ-
ონ და კიდევ უარესი გეიქნანო.

მგონებ მოგაწყინეთ თავი ბევრის
ყბედობით, მაგრამ, იმედია, მოგვი-
ტევეთ, რადგანაც საქმემ აგრე მოი-
ტანა.

თქვენი ძმა ბუბელი ბიჭინაშვილი
11 აპრილს 1876 წ.

რუსეთი

„მოსკოვის უწყებაში“ იწერებიან,
რომ ოდესის უნივერსიტეტი მოაკ-
ლდა სამს პროფესორს: სეჩენოვი
გადასულა პეტერბურგის უნივერსი-
ტეტში, — ორბინსკი სამსახურიდამ
გამოსულა და პოლიტიკურ ეკონო-
მიის პროფესორი მოლსკი, აეთ-
მყოფობის გამო, პეტერბურღში წა-
სულა საქმიმით. სხვა გახუტები ამ-

ბობენ, კი რომ ვითომც მოღსკი
კუქუდამ შემლილიყოს.

* *

ბაზეთს „ხმაში“ იწერებინან, რომ
სამარინის მეგობრებს და თანამშრო-
მლებს განუზრახავთ მისდა სახელის
სახსენებლად, — რომელიც მან დაიმ-
სახურა გლეხების განთავისუფლების
დროს, — დააწესონ პერიოდული
პრემია (სახუქარი) იმ მწერლებისთვის,
რომელნიც საუკეთესო თხზულებას
წარმოადგენენ, შესახებ გლეხების-
მდგომარეობისა (ოჯახობაზე, მმარ-
თველობაზე, მათ ყოფა-ცხოვრებაზე
და სხე). ამაზე გაზეთი „ახალი დრო-
ება“ უმატებს, რომ ამჟამად პეტერ-
ბურლის უნივერსიტეტის პროფეს-
სორი უ. ლამანსკი ამზადებს თხზუ-
ლებას, რომელშიაც იქნება გაყვანი-
ლი ჰაზრი სამარინის საზოგადოებითი
დალიტერატურულიმნიშვნელობაზე.

უცხო ქვეყნები

რაგუნიდამ იწერებინან, რომ აჯან-
ყებული გერცოგოვინელები წინა-
აღმდეგნი არიან პესტრიის დედეგა-
ტის ლაზარეიჩის წინააღმდეგაზე.
„მშვიდობით გავათავოთ საქმეო“. გე-
რცოგოვინელებმა უარ ჰყვეს ეს
წინააღმდეგა და როგორც გაზეთების
ტელეგრაფებშიდამ სჩანს, სერბიიდან
ასი ათასი კაცი უნდა გასულიყო
სათათრეთის სამზღვარზედ იმ აზრით,
რომ 28 აპრილს სათათრეთისთვის
ომი გამოცხადებიათ. მაგრამ ის ხმა
ისმის, რომ ვითომც პესტრო-ვენგრი-
ას რუსეთისა და ბერმანის თანხმო-
ბით გერცოგოვინის და ბოსნიის
დაპყრობა უნდოდეს, თუ ეს უკანას-
კნელნი არ დაწყნარდებიან.

— საბევოდამ იწერებინან, რომ
მ რ თ ე ლ ი ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს მ ო -
ს ნ ი ა ცვესლით არის მოდებულნი:
იწვის დაბები და სოფლები, ზეგორნი-
კის მახრა აჯანყებულებით გაიესო.

ამჟამად თათრებს კიდევ მოუქ-
ლავსთ სერბიიდან მოსული ემისარი
მიკმა პოპოვიჩი. ამ გარემოებამ
მრთელი ზეგორნიკის მახრა ააღვლეა,
მაგრამ ჯერ კიდევ წამდელიათ არ
ეიცით, რით გარდაწყდება საქმე.

მხოლოდ ვიცით ის რომ ბელგრად-
ლიდამ (სერბიის სატახტო ქალაქი)
ბრძანება გამოასულა, რომ ყველა
ოფიცრები, ვინც კი დროებით დათ-
ხოვნილნი ყოფილან, მსწრაფლ და
საჩქაროთ დაბრუნდნენ თავის პოლ-
კებში.

— 10 აპრილს სორბონში (საფ-
რანგეთი) წლიური კონგრესი იყო
საფრანგეთის დეპარტამენტების სწავ-
ლულთ საზოგადოებათ, რომელზე-
დაც საჩუქარი მიიღეს ამ საზოგადო-
ებათ მწვერებმა. სახალხო განათლე-
ბის მინისტრმა, — ამბობს გაზეთი „ა-
ხალი დროება“, — წარმოსთქვა შესა-
ნიშნაფი სიტყვა, რომელშიაც ის
ჰაზრი ჰსძევს თავიდან ბოლომდის,
რომ ენლანდელი უნივერსიტეტების
ორგანიზაცია გარდაკეთდეს ისე, რომ
მით თავისუფლება მიეცეს ახალგაზ-
დობას; ამასთანავე დაარსდეს სხვა
და სხვა დეპარტამენტებში სრული
ფოკულტეტები, რომელთაც შეეძ-
ლოთ განათლების და მეცნიერების
გაერცელება ხალხში. დასასრულ მი-
ნისტრმა განაცხადა, რომ, რაც შეი-
ძლება, დაწყებითი და ნორმალური
სასწავლებლების რიცხვი გაეზარაფ-
ლოთო, რომ მით დონისძიება მიე-
ცეს ხალხს შეიმსუბუქოს — მატერია-
ლურის მხრით მაინც, ვალდებულე-
ბითი სწავლა.

— სან-სებასტიანიდამ იწერებინან,
რომ ბეიპუტკოაში დიდი გაცხარე-
ბული სჯა ჰქონდათ კრებაზე. დე-
დეგატები, რომელნიც სან-სებასტი-
ანიდამ ჩამოსულან უარს არიან და-
ესწრონ შემდეგ სჯაზე და აცხადებენ,
რომ — თუ მსპანია მასკების პროფინ-
ციებს მის პრივილეგიებს წაართმევს
მაშინვე ისინი იძულებულნი იქნე-
ბიან შესწყვიტონ მსპანიასთან ყო-
ველი კავშირი, იცნონ თავიანთ
თავი თავისუფლებათ და ჰსთხოვონ
რომელმე მეროპის სახელმწიფოს
რომ მან იქონიოს მათზე თავის
მფარველობა.

ამ აზრის არის ხალხიც.

ნარევი

მრთს სახელმწიფოს რჩევაში შე-
უტანიათ თხოვნა, რომ ყველა ქა-

ლები, რომელთაც გრძელ-შლოგიფიანი
კაბა აცვია დაიშტრაფოსო... შრა...

* *

ამ დროებში ერთს რუსის ოლქის
სასამართლოში გაიჩინა კნინა „სხ-
ტომსკის და მისი შეიღობის საქმე,
რომელშიაც ცხადათ სჩანს, რომ ამ
პატივცემულ კნინას ლუკრეცია ბო-
რდუქასათვის გარდუქარებია.

* *

მრთი პოლშის შესანიშნავ მწე-
რალს იოსებ პრაშევსკის დაუწყია
გამოცემა „ისტორიული მოთხრო-
ბანი პოლშაზე“ 65 ტომათ, რომ-
მელთაც უნდა შეიცვან მრთელი პოლ-
შის ისტორია მის დაარსებიდან, ვიდრე
დღევანდლამდე. ეს აზრი უნდა მან
შეასრულოს 4 წლის განმავლობაში
და პირველი ტომი კიდევაც გაუო-
უცია.

რაც ამ კაცს თავის სიცოცხლეში
ან დროებში უწერია, ან პოეზები, ან
რომანები, ან მოთხრობები, ყველა
რომ გამოსცეს კაცმა ექვსას (600)
ტომზე ნაკლები არ იქნება!!!

განცხადებანი

თფილისის თავად-აზნაურობის სა-
ადგილ-მამულთ ბანკის გამგეობა აც-
ხადებს, რომ — ბანკის წესდების § 37
საფუძელის ძალით, აღარ მიეცემათ
მოკლე ვადიანი სესხი თფილისის
უფზდის თავად-აზნაურობას, ვინაი-
დან დღემდის გამოტანილი მათგან
მოკლე ვადიანი სესხი აღებატების
იმ ფულს, რომელიც მათ შეუტ-
ნიათ ბანკში.

(3-1)

ბამოვიდა ახალი წიგნი:
არითმეტიკული გამოცანები
სახალხო უკოლებისათვის და მშობ-
ლებისათვის დამატებით ბუნების მეც-
ნიერებშიდამ.

წიგნი შედგენილი
ივანე როსტომაშვილისაგან
გამოცემული შექთიმე ხელახისაგან
შასი ორი შაური.

წიგნი და გამოვიდა „ხმა“ ანუ
„ოხუნჯობა“ ალფავეიტის წესით ან-
ბანზედ შედგენილი.

ალექსანდრე მლისბარის ძის ნა-
თიფისაგან.

შასი ერთი შაური

ბამოვიდა ბეჭედი და დასრულებ-
ა. თფილისში მხარეთმცოდნეობის
მუშ. შახანიზოვის წიგნების მაღა-
ზიაში

წიგნი ქართულს ენაზედ

„ქახეთის მკვინა- ხოლა მელნიმო- ბა და მათი გაუ- ჯობასობა“

შასი წიგნისა, როგორათაც ადგი-
ლობრივ, ვგრეთვე გაგზავნით გა-
მომწერთათვის სხვა სალაგებში ორი
მანეთი.

წიგნი ესე შეიცავს სასარგებლო
ცნობებსა ქახეთის ვენახების მომუ-
შავეთათვის, ლენის მაყენებელთა-
თვის, სპირტის გამომშენებელთათვის და
სირაჯ მესარდაფეთათვის.

(3-2)

LA VELOUTINE
(ველუტინი)
ერთნაირი ბრინჯის პუდრი
(უმარილი), ბისმუტით გაკე-
თებული.
ისეთი ზედმოქმედება აქვს
აღამიანის ხორცის კანზე, რომ
ალობს და სხალგაზდა აღა-
მიანის კანს დამსგავსებს.
ბანს ეკერება და არა სჩანს.
შ. შ ა ი — გ ა მ ო მ გ ო რ ი .
pommade satin
(ატლასის კომადა)
ხელების კანის რბილად შე-
სანახავად; ზამთარში არ და-
უსკდება ხელის კანი, ვინც
ამ პომადას ხმარობს.
9, Rue de la Paix, Paris
ნომერი იმეზ მათი 156-28

წიგნი და ისეილება
თამარ საპატრიოტო
გაბონისშილი
ისტორიული რომანი
მ. რ ჩ ე უ ლ ო ე თ ს ა .
თფილისში: მელიქი შილის და
ამბ. სტამბაში და მწიფაჯიანცის
წიგნის მაღაზიაში.
შასი ყველგან ექვსი შაური.

რ.კ. გზა.	ლილა.	სალა.	III კ.	III კ.	თველის გეგები	შოგბა	ბირჟა	მან. კაპ.	გაზანდა	მან. კაპ.
თფილისი	9 36	4 54			ა) შოთილამ:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 9 აპრილს		თფილისი, 22 აპრილს	
მცხეთა			68	38	მდესისკენ — ზუთშაბ. შუადღეზე	სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს	მრთი მანეთი ღირს:			
ბორო	12 21	8 41	2 40	1 23	სტამბოლს — კვირაობით დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 32 პენსი.			
ხაზური	2	11 10	3 92	2 18	ბ) სოხუმიდამ:	ოთხშ., მსურგეთს — პარასკ. და	პარიჟში 334 სანტიმი.			
ბეჟათუბანი			4 42	2 46	შოთს — ოთხშაბათს, დილით.	შაბ. პახეთს — სამშ. და შაბ.	მსკონტი (სარგებლისფასი)			
შვირილა			5 81	3 23	მდესას — ოთხშაბათს, შუადღეზე.	შაბ. პახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	100 25		
მთაისი	8 23		6 75	3 75	შოთილამ:	თფილისისა და შოთისკენ — ყო-	მოგებიანი (პირველისესხი)	226		
სამტრედი			7 73	4 29	I	ველ დღე, კვირას გარდა. მსურ-	მოგებიანი (მეორე სესხი)	217 75		
ახ.-სენაკი			8 57	4 76	II	გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდის	ბირაოს ფურცლები:			
შოთი	11 44		9 75	5 42	III	— ოთხშაბ.	თფილ. სააზნ. ბანკისა.	94		
შოთი	8 40				სოხუმიდამი . 4	გ) ბ ო რ ი დ ა მ .	ხერსონის ბანკის (5 1/2)	88		
ახ.-სენაკი			1 18	66	„ 3	შოველგან ყოველ დღე, კვირას	მოსკოვის (5%)	86 75		
სამტრედი			2 61	14	„ 1	გარდა.	აქციები:			
მთაისი	11 51		3 41	69	„ 3	შოთილამ:	მდესის საგაქრო ბანკის	172		
შვირილა			3 98	21	„ 50	ყოველ დღე, კვი-	შოთი-თფილ. რკნ. გზის	139 50		
ბეჟათუბანი			5 33	2 96	„ 2	რას გარდა.	შავიზღვის ცეცხ. გემების	560		
ხაზური	5 41		6 84	3 24	„ 2	წიგნის გაგზავნა რუსეთში	ქავკაზის და შერკურის . . .	168		
ბორო	7 23		3 67	3 64	„ 3	და სამზღვარ გარეთ:	პირვ. საზღვევ. საზოგ.	665		
მცხეთა			9 85	4 10	„ 3 50	ლია წიგნის	პეტერბ. საზღვევ. საზ.	263		
თფილისი	10 16		7 24	9 75	„ 3 75	დაბეჭდილს (სამი მისხალი) . . .	მოსკოვის საზღვევ. საზ.	257 65		